



საპედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი



პროფესორი ნინო ხვითია
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი დავით ცხოველიძე



ასოცირებული პროფესორი მანანა ფრუიძე



ასოცირებული პროფესორი ეკატერინა
მჭედლიშვილი



საპედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი



ასისტენტი - პროფესორი თინათინ გომიჩაძე



ასისტენტი - პროფესორი ნატალია ჭილაძე



ასისტენტი - პროფესორი ნინო ხარაძე



სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი



„სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი“ საწყისს იღებს „ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის კათედრიდან“, რომელიც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში 1930 წელს ჩამოყალიბდა. კათედრის პირველი გამგე იყო პროფესორი ვალერიან როსტომბეკოვი (1930-1960 წწ). ამ პერიოდში კათედრაზე მასთან ერთად მოღვაწეობდნენ ასისტენტები: ვლადიმერ ჭიქია (1938 წლიდან - დოცენტი), ბორის ყურაშვილი, ნინო ტაბიძე, შ. ყალიბეგაშვილი, გ. ჯაველიძე, თ. რევია, მ. თოდუა.

1960-1980 წლებში კათედრის გამგე იყო პროფესორი ვლადიმერ ჭიქია. 1967 წლიდან „ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის კათედრას“ ეწოდა „ბიოლოგიისა და ზოგადი გენეტიკის კათედრა“, რომელსაც უკვე 1980-1992 წლებში ხელმძღვანელობდა დოცენტი თინა მესხი, 1992-1993 წლებში - ბ.მ.დ. მარინე ფირცხალავა.

1993 წლიდან კათედრას ეწოდა „სამედიცინო ბიოლოგიის, ზოგადი გენეტიკისა და პარაზიტოლოგიის კათედრა“, რომელსაც 1993-2005 წლებში ხელმძღვანელობდა პროფ. ელენე აბზიანიძე. 1994 წლიდან კათედრას ეწოდა „სამედიცინო ბიოლოგიის, გენეტიკის და ეკოლოგიის კათედრა“.

კათედრის შექმნის დროიდან მისი კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო ჰელმინთოფაუნის შესწავლა შინაურ ცხოველებში, ჩვილი და სასკოლო ასაკის ბავშვებში, ანკილოსტომიდოზის კვლევა საქართველოში.

მოგვიანებით კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებები იყო თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის ჰელმინთოინვაზიის შესწავლა ასაკობრივ ასპექტში და ჰელმინთოინვაზიით თანდართული დისბაქტერიოზი, მეტრონიდაზოლის რიგის პრეპარატებისა და პესტიციდების გონადოტოქსიკური და მუტაგენური ეფექტების კვლევა.

სასწავლო პროგრამებში დიდი ადგილი ეთმობოდა ზოგადბიოლოგიური კანონზომიერებებისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის აქტუალური საკითხების შესწავლას. 90-იან წლებიდან სასწავლო პროგრამაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის საკითხებმა.



სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

2005 -2006 წლებში უნივერსიტეტში რეორგანიზაციის შედეგად მოხდა ორი კათედრის გაერთიანება, „სამედიცინო ბიოლოგიის, გენეტიკისა და ეკოლოგიის კათედრას“ შეუერთდა

„მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრა“, მას ეწოდა „მოლეკულური ბიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და სამედიცინო გენეტიკის კათედრა“. გაერთიანებული კათედრის გამგე გახდა ბ.მ.დ. ნინო ხვიტია.

2006 წელს კათედრა გაიყო ორ დეპარტამენტად „ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტად“ და „სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტად“.

„სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის“ ხელმძღვანელად დაინიშნა ბ.მ.დ. ნინო ხვიტია. 2006 წელს დეპარტამენტის თანამშრომელთა შემადგენლობა ასეთი იყო: მ.მ.კ ეკატერინე მჭედლიშვილი, ბ.მ.კ. ნელი ყურაშვილი, ასპირანტი ქეთევან ტუხაშვილი, უფროსი ლაბორანტი გულისა შენგელია.

დღეისათვის დეპარტამენტი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით: დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო ხვიტია; ასოცირებული პროფესორები: დავით ცხომელიძე, ეკატერინე მჭედლიშვილი, მანანა ფრუიძე; ასისტენტ-პროფესორები: თინათინ გოგჩიაძე, ნატალია ჭილაძე, ნინო ხარაძე; ლაბორანტი - ნათია ჭუჭულაშვილი; მოწვეული მასწავლებლები: ნაზიბროლა მამალაძე, სალომე კუკავა, ქეთევან სიჭინავა, გიორგი მოშიაშვილი, ზურაბ პეტროსიანი.

ამჟამად, დეპარტამენტში ისწავლება საბაზისო თეორიული დისციპლინა „სამედიცინო ბიოლოგია“, რომელიც მოიცავს შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფი ტემპით განვითარებადი სამეცნიერო მიმართულების „უჯრედის მოლეკულური ბიოლოგიის“ საფუძვლებს და აქტუალურ საკითხებს. მათი ცოდნა წარმოადგენს დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ნოვაციური მეთოდების შექმნის წინაპირობას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ექსპერიმენტული მედიცინისა და ბიოლოგიის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის, ასევე პრაქტიკოსი ექიმებისთვისაც.

სამედიცინო ბიოლოგიის კურსის შემადგენელ ნაწილს ტრადიციულად, წარმოადგენდა სამედიცინო პარაზიტოლოგია. პარაზიტულ დაავადებათა გლობალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2009 წლიდან აღნიშნული დარგის საფუძვლებს, მის სპეციფიკას და მისდამი თანამედროვე ბიოლოგიურ მიდგომებს სტუდენტები ცალკე სასწავლო კურსის „სამედიცინო პარაზიტოლოგიის“ სახით გადიან დეპარტამენტში.